



GEORGIAN FOUNDATION FOR  
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკა პოსტკრიზისულ  
პერიოდში და მათი სამომავლო პერსპექტივები

დავით შატაკიშვილი

200

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## **ექსპერტის აზრი**

**დავით შატაკიშვილი**

**სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკა კონსტრუქციულ  
პერიოდში და მათი სამომავლო პერსპექტივები**

**200**

**2023**



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო  
ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2023 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-8-5362-3

## **შესავალი**

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის უკანასკნელი სამი წელიწადი საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. გლობალური პანდემიით გამოწვეულ ეკონომიკურ შოკებს 2020 წლის მეორე ნახევარში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ყარაბაღის 45-დღიანი ომი და შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომი პოლიტიკური არასტაბილურობა მოჰყვა, რაც რეგიონის ეკონომიკაზეც პირდაპირ აისახა. ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, რაც, თავის მხრივ, ახალი გლობალური ეკონომიკური გამოწვევების საფუძველი გახდა და ცხადია, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზეც გავრცელდა. რეგიონში პოლიტიკური და სამხედრო სტაბილურობა მისი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. რეგიონული მშვიდობა საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს უამრავ ახალ პერსპექტივას უხსნის, მათ შორის, ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო და ენერგეტიკული ურთიერთობების გაღრმავების მხრივ. რუსულმა აგრესიამ უკრაინაში კიდევ უფრო ნათელი გახადა შავი ზღვის, სამხრეთ კავკასიის რეგიონისა და მასთან თანამშრომლობის მნიშვნელობა და არსებული პოტენციალი. რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ რეგიონში ძალთა გადანაწილებასთან ერთად აუცილებლად ჩამოყალიბდება ახალი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები და მიწოდების ჯაჭვები, სადაც სამხრეთ კავკასიას კრიტიკულად მნიშვნელოვანი როლი ექნება. რეგიონის ქვეყნებს შორის თანამშრომლობას ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ, სატრანსპორტო, სავაჭრო და ფინანსურ საკითხებში კიდევ უფრო დიდი დატვირთვა ექნება. სწორედ ამიტომაც საინტერესო განვიხილოთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა სამწლიანი მძიმე პერიოდის შემდეგ – თუ რა მაკროეკონომიკური მაჩვენებლები გვაქვს ამ ეტაპზე და როგორ შეიძლება სამომავლო თანამშრომლობა საერთო რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის შესაქმნელად.

## **ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკა**

ფასების დონის საყოველთაო ზრდის მხრივ 2022 წელი მსოფლიოსთვის იმაზე მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე თავად კოვიდპანდემია. რუსეთის აგრესიამ უკრაინაში უდიდესი დარტყმა მიაყენა მიწოდების გლობალურ ჯაჭვებს. ისეთი ძირითადი სამომხმარებლო პროდუქტების წარმოების მხრივ, როგორებიცაა: ხორბალი, ზეთი, სხვადასხვა სახის მარცვლეული და ბურღულეული, რუსეთიც და უკრაინაც მსოფლიოში მონინავე პოზიციებს იკავებენ. გარდა ამისა, ამ ქვეყნებს უდიდესი როლი აქვთ მსოფლიოში საწარმოო კომპონენტებისა თუ ნახევარფაბრიკატების მიწოდებაში, ხოლო გლობალური საზღვაო გადაზიდვების ინდუსტრიაში რუს და უკრაინელ პერსონალზე მთლიანი სამუშაო ძალის 15%-მდე მოდის (International

Chamber of Shipping, 2022). ამ ყველაფერს თან დაერთო რუსეთის წინააღმდეგ ევროკავშირის სანქციების ათი პაკეტი, მოსკოვის რეჟიმის მიმართ ცალკეული ქვეყნების დაწესებული ინდივიდუალური შეზღუდვები, ენერგეტიკული საფრთხეები და სხვა, რამაც მიწოდების ჯაჭვები უდიდესი გამონწვევების წინაშე დააყენა. ამ პროცესებმა კი, თავის მხრივ, მზარდი ინფლაცია გამოიწვია.


ცხადია, მზარდი გლობალური ინფლაცია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზეც გავრცელდა და შესაბამისად, ფასების საგრძნობი ზრდაც აღინიშნა. მიმდინარე წელს ფასების საყოველთაო დონის მატებამ სომხეთში – 8.6%, აზერბაიჯანში – 12.3%, ხოლო საქართველოში 11.6% შეადგინა (Armstat, Geostat, Azstat, World Bank, 2023).

მაღალ ინფლაციასთან გასამკლავებლად 2022 წლის 1 ნოემბერს სომხეთის ცენტრალურმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 50 საბაზო პუნქტით – 10.5%-მდე, ხოლო 13 დეკემბრის სხდომაზე კიდევ 25 პუნქტით გაზარდა, რამაც საბოლოოდ 10.75% შეადგინა (Armbanks, 2022). საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2022 წლის 30 მარტს რეფინანსირების განაკვეთი 50 საბაზო პუნქტით 11%-მდე გაზარდა, 2022 წლის 21 დეკემბრის სხდომაზე კი აღნიშნული განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება (NGB, 2022). აზერბაიჯანის ცენტრალურმა ბანკმა გასულ წელს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ოთხჯერ გაზარდა. პირველად, 28 იანვარს – 7.25%-დან 7.5%-მდე, 18 მარტს – 7.5%-დან 7.75%-მდე, 28 ოქტომბერს – 7.75%-დან 8%-მდე, ხოლო 16 დეკემბერს – კიდევ 25 საბაზო პუნქტით, რამაც საბოლოოდ 8.25% შეადგინა (Trading Economics, 2022).

ზოგადად, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება, ანუ რეფინანსირების განაკვეთის ზრდა, მზარდ ინფლაციასთან გამკლავების ერთ-ერთი მთავარი ბერკეტია. როდესაც ცენტრალური ბანკები ზრდიან მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს, ამით იზრდება საპროცენტო განაკვეთი როგორც კომერციული ბანკების მიერ გასაცემ სესხებზე, ასევე დეპოზიტებზე. ამგვარად, საბანკო ფულზე მოთხოვნა იკლებს და მოსახლეობისთვის პრიორიტეტული ხდება დაზოგვა, წლიური სარგებლის გათვალისწინებით. შესაბამისად, ქვეყანაში მცირდება საერთო მოთხოვნა პროდუქტსა და მომსახურებაზე და იკლებს სამომხმარებლო ფასებიც. ცხადია, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა ინფლაციის გარე ფაქტორებს ვერ აღმოფხვრის, თუმცა მას შეუძლია ინფლაციური მოლოდინის კონტროლქვეშ მოქცევა, რაც მისი მართვის მნიშვნელოვანი ბერკეტია.

გრაფიკზე 1.1 წარმოდგენილია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინფლაციის ბოლო 5 წლის მაჩვენებლები, საიდანაც ჩანს, რომ 2022 წელი, ფასების ზრდის თვალსაზრისით, უპრეცედენტო იყო.

## გრაფიკი 1.1




წყარო: სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურები, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ფონდი

## ეკონომიკური ზრდა

კოვიდპანდემიის პირველ წელს გლობალური ეკონომიკა 3.4%-ით შემცირდა (Statista, 2021). სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი რეცესია სომხეთმა განიცადა, რომელსაც 7.2%-იანი ვარდნა ჰქონდა, ხოლო საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკა, შესაბამისად, 6.8%-ითა და 4.3%-ით შემცირდა (Armstat, Geostat, Azstat, 2021). ამავე ქვეყნებმა 2021 წელს, პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით, ეკონომიკის აღდგენის დადებითი დინამიკა აჩვენეს და 2019 წლის ზრდის მაჩვენებლებს გადააჭარბეს. ამ მხრივ რეგიონს ჩამორჩა სომხეთი, რომელსაც 2021 წელს მხოლოდ 5.7%-იანი ზრდა ჰქონდა. 2022 წელს სამივე ქვეყანაში გაიზარდა ეკონომიკის მოცულობა. ამ კუთხით ლიდერი სახელმწიფო გახდა სომხეთი, 14%-იანი ზრდის მაჩვენებლით, რომელმაც საქართველოსთან ერთად გააუმჯობესა წინა წლის მაჩვენებელი. აზერბაიჯანს კი 2022 წელს 4.6%-იანი ზრდა ჰქონდა, რაც 2021 წელთან შედარებით 1%-ით ნაკლებია (Armstat, Geostat, Azstat, 2021). გასულ წელს აზერბაიჯანის ეკონომიკამ ნავთობსა და გაზზე მომატებული ფასებითაც ისარგებლა. უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ გაიზარდა ენერგორესურსების საფასური, ასევე ევროპის მხრიდან რუსულ რესურსებზე დამოკიდებულების შემცირების პარალელურად იზრდებოდა მოთხოვნა კასპიის ზღვის რესურსებზე, საიდანაც აზერბაიჯანი ერთ-ერთი მთავარი მომწოდებელია.

გრაფიკზე 1.2 მოცემულია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უკანასკნელი 5 წლის ეკონომიკური ზრდის პროცენტული მაჩვენებლები. ცხადია, თუ არ ჩავთვლით 2020 წლის რეცესიას, რეგიონის ქვეყნებს ეკონომიკური ზრდის დადებითი დინამიკა ახასიათებთ.

## გრაფიკი 1.2



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახურები, მსოფლიო ბანკი


მიმდინარე წელს მსოფლიო ბანკი საქართველოში 4%-იან, ხოლო სომხეთსა და აზერბაიჯანში, შესაბამისად, 4.1%-იან და 2.5%-იან ეკონომიკურ ზრდას ვარაუდობს. რაც შეეხება 2024 წელს, მისი გათვლებით, საქართველოს ეკონომიკა – 5%-ით, სომხეთის – 4.8%-ით, ხოლო აზერბაიჯანის ეკონომიკა 2.6%-ით გაიზრდება (World Bank, 2023).

## ვაჭრობა

2022 წელს საქართველომ ექსპორტზე, ჯამურად, 5.6 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების საქონელი გაიტანა, რაც მისთვის ისტორიული მაქსიმუმია. აღსანიშნავია, რომ უმსხვილესი საქსპორტო ქვეყნების ხუთეულში არიან სომხეთი – 10.5%-იანი და აზერბაიჯანი – 12%-იანი წილით (Geostat, 2023). 2022 წელს საქართველომ სომხეთში 585, ხოლო აზერბაიჯანში 672 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საქონელი გაყიდა. რაც შეეხება იმპორტს, ქვეყანამ 2022 წელს 13.5 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების იმპორტი განახორციელა, რაც მისთვის ასევე უპრეცედენტოდ მაღალი რიცხვია. გასულ წელს საქართველომ სომხეთისგან 613 მილიონი, ხოლო აზერბაიჯანისგან 642 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საქონელი იყიდა.

გრაფიკზე 1.3 მოცემულია ბოლო 5 წლის განმავლობაში სომხეთის პროცენტული წილი საქართველოს მთლიან საგარეო ვაჭრობაში. პროცენტულად, საქართველოს ექსპორტის დაახლოებით 8-10% სომხეთზე მოდის, იმპორტში კი მისი მაჩვენებელი 4-5%-ია, თუმცა რაოდენობრივად შესაძლოა მცირე პროცენტულობა უფრო მეტი იყოს, იმპორტის დიდი მოცულობიდან გამომდინარე.


### გრაფიკი 1.3



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

გრაფიკზე 1.4 მოცემულია ბოლო 5 წლის მანძილზე აზერბაიჯანის პროცენტული წილი საქართველოს მთლიან ექსპორტსა და იმპორტში. პროცენტულად, საქართველოს ექსპორტის დაახლოებით 12-15% აზერბაიჯანზე მოდის, იმპორტში კი მისი მაჩვენებელი, საშუალოდ, 5-6%-ია. ამგვარად, მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ბალანსი ცვალებადია, წლებისა და მთლიანი საგარეო ვაჭრობის მოცულობის გათვალისწინებით.

### გრაფიკი 1.4



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)




2022 წელს სომხეთის საგარეო ვაჭრობის მოცულობამ 14 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. გასულ წელს ქვეყანამ ექსპორტზე 5.3 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების საქონელი გაიტანა, რაც წინა წელთან შედარებით 78%-ით მეტია. რაც შეეხება იმპორტს, 2022 წელს სომხეთმა 8.7 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების საქონელი იყიდა, რაც 2021 წელთან შედარებით 64%-ით მეტია (Arka, 2023).

აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობამ 2022 წელს 52.6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 55%-ით მეტია. გასულ წელს ქვეყანამ ექსპორტზე 38.1 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების საქონელი გაიტანა, რაც 2021 წელთან შედარებით 72%-ით მეტია. რაც შეეხება იმპორტს, 2022 წელს აზერბაიჯანმა 14.5 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების საქონელი იყიდა. ამ მხრივ ზრდა, წინა წელთან შედარებით, 24%-ია. საქართველოსა და სომხეთისგან განსხვავებით, მისი სავაჭრო ბალანსი დადებითია (State Customs Committee, 2023).

გრაფიკზე 1.5 მოცემულია საქართველოს სავაჭრო ბრუნვა აზერბაიჯანთან და სომხეთთან. აზერბაიჯანთან მიმართებით, მიუხედავად 2015-2016 წლების კლებისა, ამ ეტაპზე ორ ქვეყანას შორის ვაჭრობა 1 მილიარდ 300 მილიონ აშშ დოლარს აჭარბებს. რაც შეეხება სომხეთს, მასთან სავაჭრო ბრუნვა დადებითი დინამიკით ხასიათდება და 2022 წელს პირველად ასცდა 1 მილიარდი დოლარის ნიშნულს, რაც დამამიჯნებელი პროგნოზების გაკეთების საშუალებას იძლევა.

**გრაფიკი 1.5**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული საგარეო ვაჭრობის წლიური დოკუმენტის თანახმად, 2022 წელს სომხეთში საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო პროდუქტები იყო უალკოჰოლო სასმელები (ზრდა 171%), არმატურა (ზრდა 271%), მსუბუქი ავტომობილები (ზრდა 23-

ჯერ), მედიკამენტები (ზრდა 6%), თხილი (ზრდა 9%), კარტოფილი (ზრდა 197%), თევზის ფქვილი (ზრდა 31%), აზოტოვანი სასუქები (ზრდა 107%). რაც შეეხება იმპორტს, 2022 წელს საქართველომ სომხეთისგან ძირითადად იყიდა სპილენძის მადნები და კონცენტრატები (ზრდა 17%), ხორბალი (2%, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტი არ განხორციელებულა), თამბაქო (ზრდა 38%), საკონდიტრო ნაწარმი (ზრდა 23%) და ელექტროენერგია (25%, წინა წელს იმპორტი არ განხორციელებულა).

გასული წლის განმავლობაში საქართველოს ძირითადი საექსპორტო პროდუქტები აზერბაიჯანში იყო უალკოჰოლო სასმელები (ზრდა 19%), მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ზრდა 36%), ცოცხალი ცხვარი (ზრდა 123%), კარტოფილი (ზრდა 28%), მსუბუქი ავტომობილები (ზრდა 24%), მედიკამენტები (ზრდა 26%), თევზის ფქვილი (28%, წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა) და ფეროშენადნობები (ზრდა 29%). რაც შეეხება იმპორტს, 2022 წელს საქართველოს იმპორტში აზერბაიჯანიდან ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე – ნავთობის აირები (ზრდა 39%), ბუნებრივი აირი (ზრდა 39%) და არმატურა (ზრდა 61%).


## ეროვნული ვალუტა

ბოლო 10 წლის მანძილზე სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის ეროვნული ვალუტის დეველვაცია მოხდა. საქართველოს შემთხვევაში, 2012 წელთან შედარებით, 2022 წელს ქართული ლარის საშუალო წლიური ღირებულება, აშშ დოლართან მიმართებით, 76%-ით, სომხური დრამის – 8.4%-ით, ხოლო აზერბაიჯანული მანათის 115%-ით გაუფასურდა.

ალსანიშნავია, რომ საქართველოსა და სომხეთში მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი მოქმედებს, რაც ნიშნავს, რომ ეროვნული ვალუტის ღირებულებას ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების ფაქტორი განსაზღვრავს. შესაბამისად, რეგიონული ეკონომიკური რყევები და გლობალური მაკროკლიმატი მასზე პირდაპირ გავლენას ახდენს. 2015 წლამდე აზერბაიჯანში ეროვნული ვალუტის – მანათის ფიქსირებული გაცვლითი კურსი მოქმედებდა, თუმცა 2015 წლის 21 დეკემბერს აზერბაიჯანის ცენტრალურმა ბანკმა მანათის მცურავ კურსზე გადასვლის შესახებ გამოაცხადა. მათი განცხადებით, ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად ედო ქვეყნის ეკონომიკაში სავალუტო შემოსავლების მკვეთრი შემცირება, რაც, თავის მხრივ, ნავთობზე ფასების ვარდნით იყო განპირობებული. ამგვარად, მანათის ღირებულება აშშ დოლართან მიმართებით 2015-დან 2016 წლამდე 1.05-დან 1.56-მდე გაიზარდა. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე მანათის ყველაზე მაღალი საშუალო წლიური კურსი დაფიქსირდა 2017 წელს – 1.72, რის შემდეგაც მისი ღირებულება დოლართან მიმართებით სტაბილურად 1.70 მანათია (Bloomberg, 2015). მისი ასეთი სტაბილურობა გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკი კვლავ აქტიურად აკონტროლებს გაცვლით კურსს და არ აძლევს თავისუფალი მოძრაობის საშუალებას.

გრაფიკზე 1.6 მოცემულია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეროვნული ვალუტების ღირებულებები ბოლო 10 წლის მანძილზე. ქართული ლარისა და სომხური დრამის მნიშვნელოვანი დევალვაციის შემდეგ, 2021 წლიდან, მათი ღირებულება შედარებით გამყარდა, ხოლო აზერბაიჯანული მანათი 2017 წლის შემდეგ სტაბილურად 1.70-იან ნიშნულზეა.

**გრაფიკი 1.6**



წყარო: სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურები და ეროვნული ბანკები

ცხრილში 1.1 მოცემულია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეროვნული ვალუტების საშუალო წლიური ღირებულება აშშ დოლართან მიმართებით, რიცხობრივად. ქართული ლარისა და სომხური დრამის გამყარების დინამიკა მეტწილად უკავშირდება პანდემიური რეგულაციების მოხსნას, ტურიზმის აღდგენას, ფულადი გადარიცხვების ზრდასა და სავალუტო ნაკადების შემოდინებას, გარდა ამისა, უკრაინაში რუსული აგრესიის შედეგად მიგრანტების გაზრდილ ნაკადებს. ამ მხრივ, მსოფლიო სავალუტო რეიტინგში საქართველოსა და სომხეთს საუკეთესო შედეგები აქვთ (Bloomberg, 2022).

### ცხრილი 1.1

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
<b>ქართული ლარი</b>	1.65	1.66	1.77	2.27	2.37	2.50	2.53	2.81	3.11	3.22	2.91
<b>სომხური დრამი</b>	401.7	409.6	415.9	477.9	480.5	482.7	482.9	480.5	489.0	503.8	435.7
<b>აზერბაიჯანული მანათი</b>	0.79	0.78	0.78	1.02	1.60	1.72	1.70	1.70	1.70	1.70	1.70

წყარო: სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურები და ეროვნული ბანკები

ცხრილში 1.2 წარმოდგენილია 1 აზერბაიჯანული მანათისა და 1000 სომხური დრამის საშუალო წლიური ღირებულება ქართულ ლართან მიმართებით. როგორც ცხრილიდან ჩანს, 2012 წლიდან 2015 წლამდე 1 აზერბაიჯანული მანათის შესაძენად 2 ლარზე მეტი იყო საჭირო, ხოლო 2016 წლიდან ლარი მანათთან მიმართებით გამყარდა, რაც მეტწილად განპირობებული იყო აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკის ზემოაღნიშნული გადანყვეტილებით, ეროვნული ვალუტის მცურავ კურსზე გადასვლის შესახებ. მიუხედავად პანდემიის შემდგომი პერიოდის გაუფასურებისა, ლარი 2012 წლის ნიშნულს არ ასცდენია და მანათთან მიმართებით სტაბილურად 1.7-1.8 დიაპაზონში მოძრაობს. რაც შეეხება ლარის გაცვლით კურსს სომხურ დრამთან მიმართებით, 2012 წლიდან 2022 წლამდე ლარი დაახლოებით 63%-ით გაუფასურდა. თუ 2012 წელს 1000 სომხური დრამის შესაძენად დაახლოებით 4.11 ლარი იყო საჭირო, 2022 წელს ეს რიცხვი 6.71 ლარამდე გაიზარდა. ამავე პერიოდში რეგიონის ვალუტებიდან ყველაზე ძლიერი სომხური დრამი აღმოჩნდა, რომელიც დოლართან მიმართებით მხოლოდ 8.4%-ით გაუფასურდა, რამაც, თავის მხრივ, ლართან გაცვლით კურსზეც იქონია გავლენა.

### ცხრილი 1.2


	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
<b>1 აზერბაიჯანული მანათი</b>	2.1018	2.1202	2.2513	2.2461	1.4718	1.4588	1.4944	1.6598	1.8299	1.8943	1.7185
<b>1000 სომხური დრამი</b>	4.1141	4.0629	4.2526	4.7769	4.9271	5.1890	5.2461	5.8710	6.3613	6.3941	6.7138

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ტურიზმი

2022 წელს საქართველოს 5.5 მილიონამდე საერთაშორისო ვიზიტორი ესტუმრა. აქედან ქვეყანამ, ჯამურად, 3.5 მილიარდი აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო. საქართველოში შემოსულ უცხოელ სტუმრებს შორის დაახლოებით 3% აზერბაიჯანზე, ხოლო 14% სომხეთის რესპუბლიკაზე მოდის (GNTA, 2023). დიაგრამაზე 1.1 წარმოდგენილია საქართველოში შემომავალი ვიზიტორების განაწილება ქვეყნების მიხედვით.

დიაგრამა 1.1




წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

რუსეთის აგრესიამ უკრაინაში გაზარდა მიგრანტთა ნაკადები მეზობელ ქვეყნებში. 2022 წლის განმავლობაში საქართველოს საზღვარი რუსეთის 1.1 მილიონამდე მოქალაქემ გადმოკვეთა. სწორედ ამითაა განპირობებული მათი 20%-იანი წილი საქართველოს ტურიზმში. იგივე შეიძლება ითქვას უკრაინიდან და ბელარუსიდან შემოსულ ადამიანებზე. რუსეთის შემდეგ ქვეყანაში შემომავალ ვიზიტორებში თურქეთი და სომხეთი ლიდერობენ, შესაბამისად, 17.1%-იანი და 13.7%-იანი წილებით.

გრაფიკზე 1.7 წარმოდგენილია ტურისტების რაოდენობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ბოლო 5 წლის მანძილზე. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ რეგიონში საქართველო ლიდერი სახელმწიფოა, რომელსაც 2019 წელს რეკორდული მაჩვენებელი ჰქონდა, როდესაც ქვეყანას 9.4 მილიონი სტუმარი ჰყავდა. 2022 წელს

საქართველოს 5.5 მილიონამდე ვიზიტორი ეწვია, ხოლო სომხეთსა და აზერბაიჯანში ეს რიცხვი, შესაბამისად, 1.67 და 1.6 მილიონი ადამიანია. თუმცა, სამივე ქვეყანაში პანდემიის შემდეგ საერთაშორისო ვიზიტების აღდგენის დადებითი დინამიკა შეინიშნება. სომხეთისა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, საქართველოს ეკონომიკა ტურიზმიდან შემოსავლებზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული. ცნობისათვის, 2022 წელს ტურიზმის წილმა საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში დაახლოებით 5.3% შეადგინა.

### გრაფიკი 1.7



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახურები, მსოფლიო ბანკი

### რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივები

უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, მიუხედავად მძიმე პოლიტიკური თუ ეკონომიკური სირთულეებისა, სამხრეთ კავკასიის სტრატეგიული მნიშვნელობა და რეგიონის სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის ახალი პერსპექტივები გამოიკვეთა. საერთო ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის მისაღწევად მშვიდობის უზრუნველყოფა უპირველესი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით საქართველო მუდმივად ასრულებდა მნიშვნელოვანი მედიატორის როლს. მაგალითად, 2020 წლის ყარაბაღის 45-დღიანი ომის შემდეგ ქართული მხარის შუამდგომლობით ტყვედ ჩავარდნილი 15 სომეხი მებრძოლი დაბრუნდა სამშობლოში, რის სანაცვლოდაც სომხეთმა აზერბაიჯანს ყარაბაღში დანაღმული ტერიტორიების რუკები გადასცა. ამჟამად, უკრაინაში რუსეთის აგრესიის შემდეგ, ხდება მიწოდების ახალი ჭაჭვებისა და სავაჭრო გზების ჩამოყალიბება, აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა სამომავლო პროექტებსა და სატრანზიტო შესაძლებლობებზეც.

2020 წლის ყარაბაღის ომის შემდეგ აქტუალურ საკითხად იქცა ე.წ. ზანგეზურის დერეფნის გახსნაც, რომელიც აზერბაიჯანს სომხეთისა და ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის გავლით თურქეთთან აკავშირებს. თავის მხრივ, ოფიციალურ ანკარას ეს შუა აზიის თურქულენოვან სახელმწიფოებზე მეტი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ზემოქმედების საშუალებას აძლევს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ზენოლისა, ეს საკითხი წითელ ხაზად რჩება სომხეთისთვის. ამ ეტაპზე, ზანგეზურის დერეფნის საკითხზე საბოლოო შეთანხმება ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა. უდავოა, რომ პროექტის განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეგიონული სატრანსპორტო-სავაჭრო კავშირების განვითარებისთვის. პოლიტიკური შეთანხმების არსებობის შემთხვევაშიც კი, მსგავსი პროექტების ტექნიკურად განხორციელებას შესაბამისი დრო სჭირდება, რაც მოიცავს როგორც რეგულაციების და კანონმდებლობის დონეზე მუშაობას, ასევე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობასა თუ მოდერნიზაციას, თუმცა, საინტერესოა, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მას საქართველოზე. უპირველეს ყოვლისა, საქართველო ჩართულია რეგიონულ ენერგეტიკულ პროექტებში, სადაც არსებობს და გამართულ რეჟიმში მუშაობს ინფრასტრუქტურა. მნიშვნელოვანი საკითხია, ასევე, რომ იზრდება მოთხოვნა ქვეყანაზე გამავალ მილსადენებზე, არსებული რეალობის გათვალისწინებით. მეორე მხრივ, საქართველო მოიზარება საერთაშორისო და რეგიონული სატრანსპორტო ქსელების მონაწილე სახელმწიფოდ, რომელსაც აქვს სარკინიგზო, საგზაო და საზღვაო გადაზიდვის შესაძლებლობები. ზანგეზურის დერეფნის ამუშავების შემთხვევაში, საქართველომ შესაძლოა დაკარგოს სახმელეთო ტვირთების გარკვეული ნაწილი, თუმცა არა ისე, რომ მისი რეგიონული სატრანზიტო პოტენციალი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. საშუალოვადიან პერიოდში აუცილებელია ამ მიმართულებით ქვეყნის დერეფანზე მოთხოვნის გაზრდა და მისი კონკურენტუნარიან გამტარად ჩამოყალიბება.

სამხრეთ კავკასიის რეგიონისა და მისი პოტენციალის შესახებ საუბარი გაიმართა დავოსის ეკონომიკურ ფორუმზეც, რომელიც 2023 წლის 16-20 იანვარს ჩატარდა. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის თანამშრომლობის „ერთობლივი სამმხრივი ფორმატის“ მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. როგორც მან აღნიშნა, კრიტიკულად მნიშვნელოვანია საჭირო პირობების შექმნა მუდმივად მზარდი ტვირთბრუნვისთვის. მან ასევე ყურადღება გაამახვილა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზისა და ბაქო-სუფსის მილსადენის დატვირთვის, ახალი მარშრუტების გამოყენებისა და შესაბამისად, ევროპასთან უფრო მჭიდრო სავაჭრო კავშირების დამყარების აუცილებლობაზე. ხაზი გაესვა საქართველოს პორტებისა და მათი სრული დატვირთვით მუშაობის მნიშვნელობასაც (President Administration of Azerbaijan, 2023). როგორც ითქვა, 2027 წლისთვის აზერბაიჯანი აპირებს ევროპაში თითქმის 20 მილიარდი კუბური მეტრი გაზი გაიტანოს და ეს გზა საქართველოზე გადის. ცნობისთვის, შეთანხმებას, რომელსაც გასული წლის ივლისში აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა

და ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა მოაწერეს ხელი, 2027 წლამდე ევროპაში აზერბაიჯანული გაზის იმპორტის გაორმაგებას ითვალისწინებს (European Commission, 2022). აზერბაიჯანი ასევე გეგმავს ევროპაში ელექტროენერჯის ექსპორტს.

აზერბაიჯანი-საქართველოს სატრანზიტო დერეფანი აქტუალური საკითხი ხდება ჩინეთისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებისთვის. ჩინეთმა აქტიურად დაიწყო რუსეთის გვერდის ავლით ტრანსკასპიური მარშრუტის, ე.წ. „შუა დერეფნის“ გამოყენება. სამხრეთ კავკასიის დერეფანზე მოთხოვნა მზარდია ცენტრალური აზიის ქვეყნების მხრიდანაც. მაგალითად, ყაზახური მხარე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენს ევროპაში ნავთობის ტრანსპორტირების ერთ-ერთ გზად განიხილავს. ამ გეგმით, ბაქომდე ყაზახურ ნავთობს ტანკერებით გადაზიდვენ, რის შემდეგაც მოხდება მისი გადატვირთვა მილსადენში. ამავე გზით ახდენს თურქმენეთი საკუთარი ენერგორესურსების ექსპორტს ევროპაში. აქტიურადაა ლაპარაკი ბაქო-სუფსის მილსადენის დატვირთვაზეც. ცნობისთვის, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ ბაქო-სუფსის მილსადენს პრაქტიკულად არ უმუშავია, რისი მიზეზიც შავ ზღვაში ნავთობის გადამზიდი ტანკერების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები იყო.

2022 წელს საქართველომ 19.7 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ტრანზიტით განახორციელა, რაც ქვეყნისთვის რეკორდულად მაღალი მაჩვენებელია. 2021 წელთან შედარებით, ზრდა 19%-ია, ხოლო 2020 წელთან შედარებით – 77%. რაც შეეხება ნავთობის ტრანზიტს, ქვეყანამ გასულ წელს 29.8 მილიონი ტონა ნავთობი გაატარა. ამ მხრივ ზრდა, 2021 წელთან შედარებით, თითქმის 13%-ია (Georgian Oil and Gas Corporation, 2022). მზარდი სტატისტიკა გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ საქართველოს კორიდორზე მოთხოვნა კიდევ უფრო მზარდი იქნება, როგორც ენერგეტიკული რესურსების, ასევე სახმელეთო გზით ტრანსპორტირების კუთხით.

„გზისა და სარტყლის“ ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილია სამხრეთ კავკასიაზე გამავალი სავაჭრო მარშრუტი, ე.წ. „ახალი ევრაზიული სახმელეთო ხიდი“, რომელიც აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით აკავშირებს ჩინეთსა და აღმოსავლეთ ევროპას. ცხადია, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები მხარს უჭერენ ამ ინიციატივას, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს რეგიონში ეკონომიკური, სოციალური და ინფრასტრუქტურული განვითარების, ასევე პოლიტიკური სტაბილურობის საქმეში. 2015 წელს სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანამ მოაწერა ხელი „გზისა და სარტყლის“ მემორანდუმს ჩინეთის მთავრობასთან. ამავე წელს საქართველო და აზერბაიჯანი გახდნენ „აზიის ინფრასტრუქტურული საინვესტიციობანკის“ თანადამფინანსებლები, რასაც 2017 წელს სომხეთიც შეუერთდა (Aliyeva, 2022). ამ კუთხით თანამშრომლობის მხრივ სამხრეთ კავკასიის რეგიონი საკმაოდ იმედისმომცემია, რასაც პირველ რიგში განაპირობებს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და სატრანსპორტო ხელმისაწვდომობა როგორც რკინიგზაზე, ასევე ზღვაზე; მეორე მხრივ კი – ხელსაყრელი საინვესტიციო ბიზნესგარემო. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ამ ქვეყნებთან ჩინეთის მეგობრული და პარტნიორული



ურთიერთობები. აუცილებელია, რომ ჩინეთის სწრაფი ეკონომიკური განვითარება, ფინანსური კაპიტალი და ტექნოლოგიები აისახოს კავკასიურ ქვეყნებზეც და მათაც ჰქონდეთ ამით სარგებლობის საშუალება. ამრიგად, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა თითოეული მხარისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. საბოლოო ჯამში კი, ეს პროცესი რეგიონის მდგრად ეკონომიკურ განვითარებასა და სტაბილურობას შეუწყობს ხელს.

## **დასკვნა**

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონის მიუხედავად, განაგრძობენ განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური შოკები, რომლებიც ჯერ კიდევ პანდემიის დროს დაიწყო და დღემდე გრძელდება, მეტწილად დაძლეულია. გაზრდილი სამომხმარებლო ფასები შედარებით სტაბილური ხდება და ინფლაციის პროცენტული მაჩვენებლის კლების ტენდენციაც შეინიშნება. მიმდინარე წელს აღნიშნულ ქვეყნებში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირებაა მოსალოდნელი, რაც ეკონომიკის უფრო აქტიურ მუშაობას შეუწყობს ხელს. რეფინანსირების მაღალი განაკვეთის პირობებში სამივე ქვეყანამ მოახერხა ეკონომიკური ზრდა, რამაც საქართველოს და სომხეთის შემთხვევაში ორნიშნა რიცხვსაც გადააჭარბა. დადებითი დინამიკაა ვაჭრობაშიც, სადაც იზრდება როგორც საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ტვირთბრუნვა, ასევე, ზოგადად, ამ ქვეყნების საგარეო ვაჭრობის მოცულობა. 2022 წელს აშშ დოლართან მიმართებით გამყარდა ქართული ლარისა და სომხური დრამის ღირებულება, ხოლო აზერბაიჯანული მანათი რჩება სტაბილურ მაჩვენებელზე. ეროვნული ვალუტების გამყარების ტენდენცია მიმდინარე წელსაც მოსალოდნელია. სამხრეთკავკასიურმა სახელმწიფოებმა ზრდადი დინამიკა აჩვენეს ტურიზმის კუთხითაც, სადაც, პანდემიის პერიოდთან შედარებით, საგრძნობი მატებაა. არსებული ეკონომიკური მაჩვენებლები, ცხადია, დადებითი მოლოდინისა და პროგნოზების გაკეთების საშუალებას იძლევა, თუმცა ეს არაა საკმარისი და მოდუნების საშუალებასაც არ იძლევა. აუცილებელია, რომ სამივე ქვეყანამ იმუშაოს როგორც ერთმანეთთან, ასევე პარტნიორ სახელმწიფოებთან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის, ფინანსური სერვისებისა და სავაჭრო ურთიერთობების განვითარების კუთხით. რეგიონს განვითარების უდიდესი პოტენციალი აქვს. უკრაინაში რუსული აგრესიის შედეგად ყალიბდება ახალი გეოპოლიტიკური წესრიგი, სადაც სამხრეთ კავკასიას უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური როლი ექნება. რეგიონული მშვიდობა და მიზანმიმართული მაკროეკონომიკური პოლიტიკა თითოეულ ქვეყანას ახალ შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს გაუხსნის, რაც საშუალოვადიან პერიოდში უფრო მზარდი ეკონომიკური სურათის დანახვის საშუალებას მოგვცემს.

## შენიშვნები

- “1.67 Tourists Traveled to Armenia in 2022 – Preliminary Data”. Panarmenian. 2023. Retrieved from: [https://www.panarmenian.net/eng/news/304767/167\\_tourists\\_traveled\\_to\\_Armenia\\_in\\_2022\\_-\\_preliminary\\_data](https://www.panarmenian.net/eng/news/304767/167_tourists_traveled_to_Armenia_in_2022_-_preliminary_data)
- “Armenia Refinancing Rate”. Trading Economics. 2022. Retrieved from: <https://tradingeconomics.com/armenia/interest-rate>
- “Armenia’s Foreign Trade in January-December 2022 Surged by 68.6% to Over \$14.1 billion”. Arka News Agency. 2023. Retrieved from: [http://arka.am/en/news/economy/armenia\\_s\\_foreign\\_trade\\_in\\_january\\_december\\_2022\\_surged\\_by\\_68.6\\_to\\_over\\_14.1\\_billion/](http://arka.am/en/news/economy/armenia_s_foreign_trade_in_january_december_2022_surged_by_68.6_to_over_14.1_billion/)
- “Armenian Central Bank Raises Key Rate by 0.25 Percentage Points to 10.75%”. Armbanks. 2022. Retrieved from: <http://www.armbanks.am/en/2022/12/13/146272/>
- “Armenian Dram – Exchange Rates”. 2023. Retrieved from: <https://rate.am/en/armenian-dram-exchange-rates/central-bank-armenia>
- “Azerbaijan Interest Rate”. Trading Economics. 2022. Retrieved from: <https://tradingeconomics.com/azerbaijan/interest-rate>
- “Azerbaijan Records Growth in Tourist Flow to Country”. Trend News Agency. 2023. Retrieved from: <https://en.trend.az/business/tourism/3698191.html>
- “Exchange Rates – Statistical Data”. National Bank of Georgia. Retrieved from: <https://nbg.gov.ge/en/statistics/statistics-data>
- “Global Economic Prospects”. A World Bank Group Flagship Report. The World Bank. 2023. Retrieved from: <https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/38030/GEP-January-2023.pdf?sequence=34&isAllowed=y>
- “Ilham Aliyev Attended Plenary Meeting Held as Part of World Economic Forum”. President of the Republic of Azerbaijan. 2023. Retrieved from: <https://president.az/en/articles/view/58664>
- “International Tourism, Number of Arrivals – Azerbaijan”. The World Bank. 2020. Retrieved from: <https://data.worldbank.org/indicator/ST.INT.ARVL?locations=AZ>
- “Monetary Policy Decisions”. National Bank of Georgia. 2022. Retrieved from: <https://nbg.gov.ge/en/monetary-policy/committee-decisions>
- “Foreign Trade of Georgia 2022”, Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. 2022. Retrieved from: [https://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign\\_trade/2022/trade\\_2022.pdf](https://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2022/trade_2022.pdf)
- “Number of Inbound Tourist Arrivals for Personal Purposes in Azerbaijan from 2010 to 2021”. Statista. 2021. Retrieved from: <https://www.statista.com/statistics/1015831/inbound-tourist-arrivals-personal-purposes-azerbaijan/>
- “Oil and Gas Transit Statistics”. Georgian Oil and Gas Corporation. 2023. Retrieved from: <https://www.gogc.ge/en/statistics/years>
- “Russia’s War Turns Neighboring Currencies into World’s Best”. Bloomberg. 2022. Retrieved from: <https://www.bloomberg.com/news/articles/2022-12-21/putin-s-war-made-his-neighbors-currencies-the-best-in-the-world>
- “Statement by President von der Leyen with Azerbaijani President Aliyev”. European Commission. 2022. Retrieved from: [https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/statement\\_22\\_4583](https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/statement_22_4583)

- “Tourism in Armenia”. World Data. 2020. Retrieved from: <https://www.worlddata.info/asia/armenia/tourism.php>
- “Tourism in Azerbaijan”. World Data. 2020. Retrieved from: <https://www.worlddata.info/asia/azerbaijan/tourism.php>
- „Russian and Ukrainian Seafarers Make Up 14.5% of Global Shipping Workforce, According to ICS”. International Chamber of Shipping. 2022. Retrieved from: <https://www.ics-shipping.org/press-release/russian-and-ukrainian-seafarers-make-up-14-5-of-global-shipping-workforce-according-to-ics/>
- Agayev Z. “Azerbaijan’s Shift to Free Float Sends Manat to 20-Year Low”. Bloomberg. 2015. Retrieved from: <https://www.bloomberg.com/news/articles/2015-12-21/azerbaijan-moves-to-floating-exchange-rate-letting-manat-tumble#xj4y7vzkg>
- Aghjayev S. “Azerbaijan’s Foreign Trade Turnover Notably Up for 2022 - State Customs Committee”. Trend News Agency. 2023. Retrieved from: <https://en.trend.az/business/3700068.html>
- Aliyeva A. “Belt and Road Initiative (BRI): Role of South Caucasus In Connectivity Cooperation Between China And Europe – Analysis”. Eurasia Review. 2022. Retrieved from: <https://www.eurasiareview.com/29122022-belt-and-road-initiative-bri-role-of-south-caucasus-in-connectivity-cooperation-between-china-and-europe-analysis/>
- Bhutia S. “Why has the Azerbaijani Manat Flatlined?”. Eurasianet. 2018. Retrieved from: <https://eurasianet.org/why-has-the-azerbaijani-manat-flatlined>
- Orujova N. “Azerbaijan Introduces Freely Floating Rate for its Manat”. Azernews. 2015. Retrieved from: <https://www.azernews.az/business/90955.html>